2

726 ~ 8492

ამბები

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 13 (318) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის ივლისი

დეკ.

მარად

იყოს

მეგობრობა!

ამერიკის შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები, აგრეთვე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მისი შეხვედრები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. საბჭოთა ხალხი, მომძე სოციალისტური ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, პლანეტის მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალები მიესალმებიან და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტების შედეგებს, როგორც ახალ წვლილს მშვიდობის საქმეში, რომელიც შეესაბამება ყველა ქვეყნის ხალხის მასების ინტერესებს.

საბჭოთა ადამიანებმა ღრმა კმაყოფილებით აღიქვეს ცნობა იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც განიხილეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები, მაღალი შეფასება მისცეს მის პირად წვლილს, მთლიანად და სავსებით მოიწონეს ამ ვიზიტის პოლიტიკური და პრაქტიკული შედეგები, რომელსაც დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს და უდიდეს მოვლენას წარმოადგენს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ცნობა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ჟ. პომპიდუსთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრის შესახებ და სავსებით მოიწონეს მისი შედეგები, რომლებიც შეესაბამებიან ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და დადებითი მნიშვნელობა აქვთ ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების პროცესის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხალხს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები მიაჩნია სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის ახალ მკაფიო დადასტურებად. მშვიდობიანი თანაარსებობის ი. ლენინური პოლიტიკის ძალისა და ცხოველმყოფელობის მტკიცე დადასტურებად, რომელიც სულ უფრო ხდება სხვადასხვა სოციალურ სისტემათა სახელმწიფოების ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებული საფუძველი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიზანდასახულმა ნაყოფიერმა საქმიანობამ მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისა და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საიმედო უშიშროების უზრუნველსაყოფად ძირეული შემობრუნება გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობაში. მათ შორის აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობაში.

„...შემობრუნება ურთიერთუნდობლობიდან დაძაბულობის შენელებისაკენ, ნორმალიზაციისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისაკენ, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამერიკის ტელევიზიით გამოსვლისას, — რა თქმა უნდა, არცთუ ადვილი საქმე იყო, ამისათვის საჭირო გახდა სიმამაცე, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, საჭირო გახდა უდიდესი გულმოდგინე მუშაობა“.

ერთ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა მოსკოვში გამართული უმაღლესი დონის საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შემდეგ, რომელმაც მთელი სიცხადით დაადასტურა, რომ სწორი და დროული იყო ღონისძიებანი, რომლებიც მაშინ განხორციელდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაჯანსაღების მიზნით. მაშინ მიღებულმა დოკუმენტმა „სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლებმა“ დასაბამი მისცა შემობრუნებას უნდობლობიდან დაძაბულობის შენელებისაკენ, ნორმალიზაციისა და თანამშრომლობისაკენ. პრეზიდენტ რ. ნიქსონთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ახლანდელი მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებამ კარგი საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას, ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგებს დიდი წვლილი შეაქვთ დაძაბულობის შენელების პროცესის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში.

უფართოესი გამოხმაურება გამოიწვია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებულმა უვადო „შეთანხმებამ ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ“. ეს უდიდესი აქციაა ატომური ომის საფრთხის შემცირებისა და საბოლოო ანგარიშით მისი აღმოფხვრის, საერთაშორისო უშიშროების რეალური გარანტიების სისტემის შექმნის გზაზე. მთელი კაცობრიობისათვის ჰეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ექნება მიღებული შეთანხმების, სსრ კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების ატომური დაპირისპირებიდან იმ კურსისაკენ შემობრუნების პრაქტიკულ განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს არ დაუშვან ატომური ომი, სადავო საკითხები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. დიდი როლი უნდა შეასრულონ ვაშინგტონში ხელმოწერილმა „სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების ძირითადმა პრინციპებმა“.

სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ სხვა სახელმწიფოთა მზადყოფნა შეუერთდნენ საბჭოთა კავშირსა და შეერთებული შტატების მიერ ერთობლივად დადასტურებულ პრინციპებს, რომელთა თანახმად უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე და გადამწყვეტ ღონისძიებებს მიმართავენ ატომური ომის აღსაკვეთად, უდიდესი მნიშვნელობის საქმე გახდება ქვეყნად საყოველთაო უშიშროებისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, შეთანხმებანი სოფლის მეურნეობაში, მსოფლიო ოკეანის კვლევაში, ტრანსპორტის, კონტაქტებისა და გაცვლის დარგში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების ახალი პერსპექტივები, უეჭველია, კიდევ უფრო მეტ სტაბილურობას მიანიჭებენ ურთიერთობას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

მილიონობით საბჭოთა ადამიანმა თვალსათლივ დაინახა, რომ ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს გამოხატავდნენ თავიანთ მეგობრულ გრძნობებს საბჭოთა ხალხისადმი და იმის გაგებას, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ამას. ჩვენ ხალხში ცოცხლობს ხსოვნა ელბაზე მეგობრული შეხვედრის შესახებ. დღეს საბჭოთა და ამერიკელი ხალხები კვლავ მეგობრულად ხვდებიან ერთმანეთს, წმენდენ „ცივი ომით“ ჩახერგილ გზას.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება, ორივე მხარის მიერ მკაფიოდ გამოვლენილი ნება, პატივი სცენ უველა სახელმწიფოს უფლებებსა და ინტერესებს, საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ელემენტია, და დიდ შესაძლებლობებს უსახავენ ყველა სხვა ქვეყნის კონსტრუქციულ თანამშრომლობას. ორი სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების თანმიმდევრული და განუხრელი შესრულება იმის წანამძღვარია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გადავაქციოთ საერთაშორისო მშვიდობის მუდმივ ფაქტორად, უზრუნველვყოთ დაძაბულობის შენელების ამჟამად მიმდინარე პროცესის შეუქცევადობა და გავაღრმავოთ იმ სახელმწიფოთა მშვიდობიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, რომლებიც ეკუთვნიან სპაირისპირო სოციალურ სისტემებს.

მშვიდობის პოლიტიკა

ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ არის „ცხელი წერტილები“, და ყველა იმათი ამოცანა, ვინც ნამდვილად ესწრაფვის მშვიდობასა და უშიშროებას, ის არის, რომ მოსპონ ომისა და საომრის დაძაბულობის კერები.

მსოფლიო საზოგადოებრიობა აღნიშნავს — მშვიდობის განმტკიცების საქმეს ემსახურება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების დროს დადასტურებული იმის საჭიროება, რომ ზუსტად შეასრულონ პარიზის შეთანხმება ვიეტნამის შესახებ გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ ინდოჩინეთის ყველა ხალხს შეექმნას შესაძლებლობა იცხოვროს მშვიდობიანად.

არსებითად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომუნიკეში დადასტურებულ მისწრაფებას ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებისადმი იმ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ რაიონის ყველა ხალხისა და სახელმწიფოს უფლებებსა და ინტერესებს, მათ შორის პალესტინის ხალხის ინტერესებს. მოლაპარაკებაზე ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა პოზიცია ამ საკითხში. საბჭოთა კავშირი მშვიდობის პროგრამის შესაბამისად პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ახლო აღმოსავლეთში ომის კერის ლიკვიდაციას იმ სახელმწიფოთა და ხალხთა კანონიერი უფლებების პატივისცემის საფუძველზე, რომლებმაც განიცადეს აგრესია. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაჭრის საფუძველია ისრაელის ჯარების გაყვანა ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან.

საბჭოთა კავშირი და მოძმე სოციალისტური ქვეყნები ყოველთვის უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. მათს მეცადინეობას, აგრეთვე ევროპის სხვა ხალხების მეცადინეობას მოჰყვა ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი კონტინენტის ისტორიაში — ჰელსინკში გაიმართა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის პირველი ეტაპი. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთგაგებას ევროპის უშიშროების პრობლემების განხილვისას, და, კერძოდ, მათს ურთიერთმისწრაფებებს უმოკლეს ვადაში მოაწყონ სრულიად ევროპის თათბირი, დიდი მნიშვნელობა ექნება ამ კონტინენტზე სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მოვლენათა მსვლელობა დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სწორია თავის დროზე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებმაც დაამყარეს კონსტრუქციული თანამშრომლობის ურთიერთობა და თავიანთი ღონისძიებანი წარმართეს იქითკენ, რომ განევითარებინათ ორმხრივი ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში, შეექმნათ ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ახლანდელი შეხვედრის შედეგები პოზიტიურ როლს ასრულებენ სრულიად ევროპის თათბირის წარმატებული მუშაობის უზრუნველყოფაში.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთობლივ კომუნიკეში ორივე მხარის მიერ გამოთქმულ გადაწყვეტილებას — კიდევ უფრო განამტკიცონ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა „სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპების“ და პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ „საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ოქმის“ თანმიმდევრული განხორციელების ბაზაზე, აგრეთვე შეთანხმებას 1974 წლის დამდეგს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრის მოწყობის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება და ვითარდება, არა მარტო საბჭოთა ადამიანების, არამედ საფრანგეთის ფართო საზოგადოებრიობის დიდ კმაყოფილებას იწვევს.

საერთაშორისო ასპარეზზე მოვლენათა განვითარების მთელი მსვლელობა მოწმობს, რომ ახლა სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობანი, რათა სადავო საკითხები, რაც უნდა რთული იყოს ისინი, გადაჭრან მოლაპარაკების გზით მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტების შედეგები, ისევე როგორც ყველა ღონისძიება საგარეო პოლიტიკის დარგში, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განახორციელა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი წვლილია საერთაშორისო ურთიერთობის პოზიტიურ განვითარებაში.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებს საბჭოეთის აქტიური, მიზანდასახული საგარეო პოლიტიკა, რომელიც იცავს მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესის იდეალებს, მიაჩნიათ მთელი საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაჯანსაღების, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმსაზღვრელ ფაქტორად. მშრომელი მასები, მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიები აცხადებენ, რომ სავსებით სოლიდარული არიან და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მარქსისტულ-ლენინურ ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას, და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება არათუ ხელს არ უშლის სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას, არამედ პირიქით, ყველაზე ხელსაყრელ პირობებს უქმნის ამ ბრძოლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც თანმიმდევრულად ივლის სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გზით. ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ურთიერთობას ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ჩვენ განვავითარებთ კავშირურთიერთობასა და კონტაქტებს ქვეყნებთან, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური უღლისაგან, დახმარებას გავუწევთ მშვიდობისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიის და სოციალიზმისათვის მებრძოლ უველა ხალხს. საბჭოთა კავშირი, კვლავინდებურად, საკადრის პასუხს გასცემს აგრესიული იმპერიალისტური ძალების ყოველგვარ ხრიკებს, უველას, ვინც ილაშქრებს დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, ვინც იბრძვის „ცივი ომის“ დაბრუნებისათვის, გამალებული შეიარაღებისათვის, უველას, ვინც მტრობასა და უნდობლობას სთესავს ხალხთა შორის. ჩვენი დიადი ხალხის ერთიანობა და შეკავშირება, ერთსულოვანი მხარდაჭერა, რომელსაც იგი უწევს კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, — აი საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის მტკიცე და საიმედო საფუძველი.

თავდადებული შემოქმედებითი შრომა, საყოველთაო-სახალხო გაჭანება სოციალისტური შეჯიბრებისა და სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანი და გადაჭარბებით შესრულებისათვის მკაფიოდ მოწმობენ, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაამკვიდრონ მყარი მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საფუძვლები.



მშვიდობის საქმეში დიდი წვლილისათვის

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია.** 11 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისათვის ამ პრემიის გადაცემას.

სასახლის დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობების მუშები, მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები.

აქვე დარბაზში არიან საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით მყოფი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, სსრ კავშირში აკრედიტებული სოციალისტური ქვეყნების ელჩები. ესწრებოდნენ უცხოელი სტუმრები — მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელი საერთაშორისო საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეები, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები.

შეკრებილნი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრეჩკოს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.** მათთან ერთად პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ფამ ვან დონგი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **ლე თხან ნგი.**

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ვ. სკობელცინი**, კომიტეტის წევრები **ნ. ნ. ბლოხინი, ბ. ტრაიკოვი, ნ. ვ. ტომსკი, რ. გუტუზო, მ. ვირე-ტუომინენი.** აქვე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას ხსნის საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი. კომიტეტისა და ამ დარბაზში ყველა დამსწრის სახელით მან გულითადად მიულოცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მაღალი ჯილდო.

ლეონიდ ბრეჟნევს მშვიდობის მაღალი ჯილდო მიულოცეს: მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკლმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ს. პავლოვსკიმ**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლე ზუანმა**, საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის წევრმა **გიორგი ტრაიკოვმა**, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა **რომეშ ჩანდრამ**, მოსკოვის კიევის რაიონის № 72 საშუალო სკოლის მასწავლებელმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა **ზ. ა. მალახოვამ**, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა **რენატო გუტუზომ**, „ფინელ მშვიდობის მომხრეთა“ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **მირიამ ვირე-ტუომინენმა**, ერაყის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა **აზიზ შერიფმა.**

სიტყვა ეძლევა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.**

დამსწრენი **ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს** მიესალმებიან ფეხზე ამდგარნი, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

საქალაქო საბჭოს პირველი სესია

29 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-14 მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

დღის 3 საათია. ტრიბუნაზეა საქალაქო საბჭოს დეპუტატი, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალი **ვ. პაპინაშვილი.** დეპუტატთა ჯგუფის სახელით მას წინადადება შეაქვს მეთოთხმეტე მოწვევის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პირველი სესია გახსნას ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა **ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილმა.**

დეპუტატი **ვ. გულისაშვილი** მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველ სესიას გახსნილად აცხადებს.

სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი **ბ. გრიგალაშვილი,** მდივნად — დეპუტატი **ლ. ჭყონია.**

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე** და **გ. ს. ძოწენიძე.**

ერთხმად მტკიცდება სესიის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-14 მოწვევის საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები და მოხსენება.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.

3. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა, განყოფილებების გამგეებისა და სამმართველოების უფროსების დამტკიცება.

4. სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის შექმნა და მისი თავმჯდომარის დანიშვნა.

5. საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა და მათი შემადგენლობის არჩევა.

6. „სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსისა და წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრების დროს ამომრჩეველთა განაწესების შესახებ“.

7. „ქ. თბილისის ბუნებრივი გარემოს დაცვისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სესია ირჩევს საქალაქო საბჭოს სამანდატო კომისიას 19 დეპუტატის შემადგენლობით.

შესვენების შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ნ. კომახიძეს.**

სამანდატო კომისიამ განიხილა საქალაქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი საოლქო კომისიების ოქმები დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ, აგრეთვე ოქმები არჩევნების შესახებ. თითოეულ დეპუტატზე წარმოდგენილი ყველა საარჩევნო დოკუმენტის შემოწმების შედეგად, — ამბობს მომხსენებელი, — სამანდატო კომისიამ დაადგინა, რომ არჩევნები ყველა 624 საარჩევნო ოლქში მოეწყო საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. სამანდატო კომისიამ შეამოწმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოში არჩეული ყველა დეპუტატის უფლებამოსილება.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და ცნო საქალაქო საბჭოს ყველა 624 დეპუტატის უფლებამოსილება.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს, დეპუტატ **პავლე გიორგის ძე გილაშვილს.** მას წინადადება შეაქვს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეიქმნას აღმასკომის თავმჯდომარის, აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, აღმასკომის თავმჯდომარის სამი მოადგილის, აღმასკომის მდივნისა და აღმასკომის 15 წევრის შემადგენლობით.

სესია ერთხმად ირჩევს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დეპუტატ **თამაზ ბესარიონის ძე ჯანელიძეს,** თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — დეპუტატ **ბახვა თედორეს ძე ლობჟანიძეს,** თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატებს **გაბრიელ ნოეს ძე გოშაძეს, ნინო ავქსენტის ასულ უვანიას, იური თეიმურაზის ძე ურუშაძეს,** აღმასკომის მდივნად — დეპუტატ **დიმიტრი პეტრეს ძე ბოკერიას.**

სესიამ დღის წესრიგის შესაბამისად აირჩია საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

თბილისის სტუმარი

თბილისში საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში ალი ბაჭმუდ ტანიკალპი მეუღლითურთ. მასთან ერთად თბილისში სტუმრად იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური წარმომადგენელი ქალაქ ბათუმში ი. პოპოვი.

საქართველოს დედაქალაქში ყოფნის პირველ დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

2 ივლისს სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შალვა კიკნაძემ.

შალვა კიკნაძე მიესალმა სტუმრებს. მან ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებსაც ეხება წყვეტენ რესპუბლიკაში, გააცნო მათ რესპუბლიკის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა.

ალი ბაჭმუდ ტანიკალპმა მადლობა გადაიხადა მასპინძლობისათვის.

— სიამოვნებით ვისარგებლე შემთხვევით, რათა გავცნობოდი საქართველოს. თქვენმა ნაამბობმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერებამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა წარმოდგენა რესპუბლიკის ინდუსტრიული და კულტურული განვითარების, მისი სოფლის მეურნეობის შესახებ, — განაცხადა სტუმარმა.

კაცი, კლდის ვეფხვად ხმობილი

მიხეილ ხერგიანი დაიბადა 1933 წლის 4 ივლისს...
მიხეილ ხერგიანი დაიღუპა 1969 წლის 4 ივლისს...

„ვერ მოგვერია სიკვდილი, ვეფხო, შენ სალის კლდისაო! დიდება დედა-სამშობლოს, ვინც შენებრ გმირება ზრდისაო!“...

ხალხური



1969 წლის 4 ივლისს იტალიის დოლომიტებში, სუ ალტოს პიკის იერიშის დროს დაიღუპა მიხეილ ხერგიანი, ჩვენი დროის უდიდესი მთასვლელი, კაცი-ლეგენდა, რომელმაც დალაშქრა დედამიწის თითქმის ყველა უმაღლესი მწვერვალი, თუ არა უძლეველი კედლები.

„კლდის ვეფხვის“ საპატიო წოდება რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრი ყოფილა მხოლოდ... მიხეილ ხერგიანი ამ საპატიო მონათლა მისი ვაჟკაცობითა და სპორტული ხელოვნებით აღფრთოვანებულმა ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა.

ინგლისელ ფილოსოფოსს ტომას ჰობს სიკვდილის წინ უთქვამს: „ეს ჩემი უკანასკნელი მგზავრობაა — ნახტომი შეუბობელ სამყაროში“, სუ ალტო მიხეილ ხერგიანის უკანასკნელი სიტყვა იყო, ისევე მოკლე, როგორც მისი სიცოცხლე, თუმცა სუ ალტოს დაპყრობით მან დაიმკვიდრა დიდებული სახელი, რომელიც მარად იქნება ვაჟკაცობის ეტალონად.

„გამარჯობა, მიშა!“... უწოდა იური ბურლაკოვმა შეწნილ ფილმს... მეც ცოცხლად მოგმართავ. გმირები არ დებიან. გილოცავ დაბადების 40 წლისთავს.

სვანეთში სვამენ რახს შენეული ჯიხვის ყანწებით — ომელიანის ხსოვნისა იყოსო. მხოლოდ ბესარიონი სვამს უხმოდ — თქვენს ოჯახს ხმამაღალი ლაპარაკი ხომ არ სჩვევია. უხმოდ იყავი შენც, უხმოდ იგებდნენ მეგობრები შენს სათქმელს.

მაგონდება შენი სიტყვები: „ყველა ადამიანი ვალდებულია ისაც სიკეთე უსურვოს“.

არავის ყოფნიდა გამბედაობა შეხებოდა შენს სიყვარულს ოებისადმი. „მთები არასოდეს მბეზრდებიან, ისინი დიაცი ლამაზნი და სასურველი არიან მუდამ“.

ერთხელ მურმან ლებანიძის ლექსი წამაკითხე გურამ თაძეზე. ლექსი დავამთავრე... მძიმედ ამოიგმინე და ჩუმად ლაპარაკე: „ჩემი ბედიც ეგ არისო“.

ბევდი და დატოვე უკანასკნელი ჩანაწერები, რაც მკითხს მინდა შევთავაზო:

25. VI. 69. დილით ანუფრიკოვი მოვიდა ჩემთან. 9 საათზე ყველანი შერემენტიევის აეროპორტში ვიყავით. 10 საათზე ოსკოვიდან იტალიაში გავფრინდით. ხიმინდიჩოს აეროპორტში დაგვხვდნენ საელჩოს წარმომადგენლები. წაგვიყვანეს ომში. დავთვალიერეთ ქალაქის ნაწილი.

26. VI. დილიდან დავიწყეთ რომის დათვალიერება. მოვინახულეთ საუკეთესო მონასტრები. ისეთი შთაბეჭდილება ოჩრა, რომ თავში აღარ მეტევა. ღამის 11 საათზე მატარებლით ჩავედით მილანში. სადგურში შეგვხვდნენ საბჭოთა კავშირ-იტალიის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, ლაზრდა რუსი ქალი, რომელიც გათხოვილია იტალიელზე. მასთან ერთად იტალიელი თარჯიმანი იყო. დილიდანვე დავიწყეთ დათვალიერება, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ოჩრა მილანის ტაძარმა, რომლის აშენება დაიწყო მე-13 საუკუნეში და დღესაც არ დამთავრებულა. საღამოს შევხვდით ოლანელ ალპინისტებს.

28. VI. დილით მთასვლელები გავედით მანქანით, შემდეგ ფეხით ვიარეთ. ეს ადგილი ძალიან მომწონს, ისე მგონია ოებში ვარ, სოფლები ძალიან გვანან ჩვენსას. საღამოს ოჭოს ქოხში ავედით. ძალიან კარგად მიგვიღეს.

29. VI. საუზმის შემდეგ გავედით მწვერვალებზე თვალის შესავლებად. სიმაღლე დიდი არა აქვთ — 1.100 მეტრი. ნასადილევს მთასვლელები და თარჯიმანი წავიდნენ. საღამოს კრება ჩავატარეთ. სპორტული ჯგუფის უფროსად მე დამნიშნეს. მარშრუტები დავადგინეთ. მე და ჩემი თანამეწყვილე სლავა ანიშენკო მივდივართ. ჩვენთან ერთად იყვნენ კოსმაჩოვი, კაუნენკო და რომანოვი. მწვერვალი მე-4 კატეგორიისაა.

30. VI. დილის 7 საათზე გავედით. 8-ზე დავიწყეთ ტრასა. 11-ზე მწვერვალზე ვიყავით. წინ მე მივდიოდი. ჩქარა ვიარეთ. ამ დროში არავინ ასულა. სარეკორდო დროა.

1. VII. დღეს ვისვენებთ. მე მინდოდა გასვლა, მაგრამ თანამეწყვილე ძლიერ დაღლილი იყო და ვერ შეძლო წამოსვლა. იმ საღამოს პროფესორ ორნალ არმანდოსთან (გიდი) გვქონდა საუბარი. არმანდომ გვირჩია ავსულიყავით მწვერვალ ბანკონზე, რომელიც მეექვსე კატეგორიას მიეკუთვნება. 8-9 საათს მოუნდებით ასვლასო.

2. VII. დილით 7 საათსა და 20 წუთზე გავდივართ მე და ანიშენკო მწვერვალ ბანკონზე. კედლის სიგრძე ვერტიკალურია, 600 მეტრამდე. ძალიან რთულია და ერთ-ერთი საუკეთესო კედელია. კედლის გავლას მოვუნდით 5 საათი და 30 წუთი. ეს საუკეთესო დროა. გვითვალყურებენ ანუფრიკოვი და არმანდო, არმანდომ დაგვასახელა საუკეთესო მთასვლელებად. კოსმაჩოვმა და რომანოვმა ავლეს „ვენეცია“. ერთი საათით ჩამოვგვრჩნენ. საღამოს 4 საათზე არმანდომ და მისმა გოგონებმა წაგვიყვანეს სოფელ აგორდაში; ვუჩვენეთ ჩვენი ფილმი, რომელიც გადაღებულია 1962 წელს სტალინის პიკზე ასვლისას. მეც ვმონაწილეობდი.

სოფელ აგორდამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მგონია სვანეთში ვარ თიბათვისას. თივას ზიდავენ ქალები. ჩაცმულობა არ განსხვავდება ჩვენი ქალებისაგან, ზოგს შავები აცვია, ზოგიც სხვადასხვა ფერებშია გამოწყობილი. თივის ადგილი ზედა სართულზეა. საქონლისა კი ქვედა, როგორც სვანეთში. თივა ზურგით მიაქონდათ. მეც მახსოვს ბევრჯერ სვანეთში, ლაღუნვარაში თივის თიბვა. თივის საკრეფი ისეთივეა, როგორიც ჩვენი ლუშტიში.

ცოტა წავიმუშავე. გაუკვირდათ, კოხტად რომ ვთიბავდი.

3. VII. 69 წ...

4. VII... ამ დღეს დაიღუპა სუ ალტოზე მეექვსე კატეგორიის სირთულის მარშრუტით ასვლისას კლდის სწორუპოვარი ვეფხვი მიხეილ ხერგიანი.

ალპინისტთა ერთ-ერთი უძველესი კლუბის — დიდი ბრიტანეთის ალპური კლუბის ჟურნალში მოთავსებულია მიხეილ ხერგიანისადმი მიძღვნილი წერილი, რომლის ავტორია ცნობილი თანამედროვე ალპინისტი ლორდ ჯონ ჰანტო. ის თავის მოგონებებს მიხეილ ხერგიანის შესახებ შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ეს დიდი დანაკარგია ჩვენთვის. ყოველი ნაწილაკით იგი იყო ნამდვილი ვაჟკაცი, იგი იყო თენსინგი ვაჟკაცთა შორის“.

არა, შენ მთების მიერ ძლეული არა ხარ! გავიდა წლები... დღესაც ატყვია შენი ნაკვალევი პამირს და ტიანშანს, ალპებს და კავკასიონს... შენ იყავი უკვალავ გზათა პირველი გამკვალავი. ჭაღარა მყინვართა მეუფე, კაცი, კლდის ვეფხვად ხმობილი.

ლამარა ხეცურიანი

სპორტული ბაზა

სპორტის მოყვარულთათვის სიტყვა „ლესელიძე“ იმ ფრთებშესხმულ იმედს ნიშნავს, გრანდიოზულ პაექრობებს რომ უძღვის წინ... შავი ზღვის პირას მდებარე კურორტს მეტად საპატიო მისია აქვს დაკისრებული — უმასპინძლოს და ოსტატობის დახვეწაში დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელებსა და ტანმოვარჯიშეებს, მძლეოსნებსა და ძალოსნებს, კალათბურთელებსა და ჩოგბურთელებს.. ლესელიძის სასწავლო-საწვრთნელ ბაზას მრავალგზის გაუცილებია საბჭოთა კავშირის, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე მიმავალი ნონა გაფრინდაშვილი და ალექსანდრე მეტრეველი, მიხეილ მესხი და ლევ იაშინი, ანატოლ ბონდარჩუკი და ლუდმილა ტურიშჩევა...

ამ ორიოდე თვის წინათ, როცა ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენმა ფაინა მელნიკმა ეს უმაღლესი ტიტული დაჰკარგა, ლესელიძეს მიაშურა, ივარჯიშა, აღიდგინა სპორტული ფორმა და პირველსავე შეჯიბრზე დაიბრუნა პლანეტაზე უძლიერესის სახელი..

— რაც საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ვარ, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ლარისა ლატინინამ, — შეკრებებს ყოველთვის ლესელიძეში ვატარებ. ვარჯიშისათვის აქ შექმნილი იდეალური პირობების გარდა, რომელსაც ერწყმის და ალამაზებს მცხუნვარე მზე, მოლივლივე ზღვა, ცად ატყორცნილი მთები და ქართული სტუმართმოყვარეობა, ლესელიძე ჩვენთვის იმ თილისმადაც იქცა, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება მოაქვს... აბა, გაიხსენეთ საბჭოთა გოგონების ტრიუმფი მიუნხენის ოლიმპიადაზე — ჩვენ იქ ლესელიძიდან ჩავედით და აკი ყველა ოქრო შინ წამოვიღეთ!..

ლესელიძის საწვრთნელი ბაზა უცხოელ სპორტსმენებსაც ხშირად მასპინძლობს. აქ ვარჯიშობდნენ სპორტსმენები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან..

ლესელიძის სასწავლო-საწვრთნელი ბაზის დირექტორად ამას წინათ დანიშნეს წარსულში სახელოვანი ფეხბურთელი ვლადიმერ ბარქაია, რომლის მზრუნველი ხელი ყველაფერს დაემჩნა. ფეხბურთის სამ მოედანს მალე მეოთხეც შეემატება, შენდება დახურული საცურაო აუზი და მძლეოსანთა სავარჯიშო დარბაზი. კიდევ უფრო გაფართოვდება საცხოვრებელი კორპუსები, რომელიც დღეს ერთდროულად 250 კაცს მასპინძლობს. ბაზის მშენებლობა — ტანვარჯიშის დარბაზი შეივსო უახლესი ინვენტარით, მიმდინარეობს ჩოგბურთის მოედნების კეთილმოწყობა, ბიბლიოთეკას ახალი წიგნები ემატება...

ყვავილებში ჩაფლულა ლესელიძე. მზე, ზღვა, ჰაერი. გამოცდილი მწვრთნელები მონდომებით ზრუნავენ შეკრებაზე მყოფ სპორტსმენთა ვარჯიშსა და დასვენებაზე, ამზადებენ უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად...

რეზო მამალაძე



სურათზე: ლესელიძის სასწავლო-საწვრთნელი ბაზა

სპორტული ქრონიკა

ვენგლდონის ტურნირზე შესანიშნავად ისპარეზა **ალექსანდრე მეტრეველმა.** ქართველი ჩოგბურთელის დიდი აღმავლობით იბრძოლა მსოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატში და მეორე ადგილზე გავიდა.

●

თბილისის სპორტის სასახლეში დღეს მიმდინარეობდა საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოს სამფეროვნებისა და ოლიმპიური ჩემპიონის **ალექსანდრე ქარტოზიას** სახელობის პრიზისათვის ასპარეზობაში, რომელიც ქალაქის საერთაშორისო ფეხბურთის ტრადიციამ ჩაატარა, საბჭოთა მოჭიდავეების გარდა ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, იუგოსლავიისა და ირანის ფალავნებიც მონაწილეობდნენ. მთავარი პრიზი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს **ომარ ბლიაძეს** გადაეცა.

●

ჰელსინკიში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში ორმაგ წარმატებას მიაღწია ოლიმპიურ თამაშების ორგზის ჩემპიონმა, სოხუმელმა **ვიქტორ სანეევმა.** მან ოქროს მედალი მოიპოვა სამმაგ ხტომაში და ბრინჯაო — სიგრძეზე ხტომაში.

●

8 ივლისს დამთავრდა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1973 წლის ჩემპიონატის პირველი წრე. თბილისის „დინამო“ 14 ქულით მისთვის შეუფერებელ მეათე ადგილზეა.

●

ლენინგრადში გამართულ მშვილდოსანთა პაექრობაში ქუთაისელმა **ჭეთევან ლოსაბერიძემ** 60 მეტრზე სროლაში მეორე ადგილი დაისაკუთრა.

ქართველმა ფალავანმა **ლევან თედიაშვილმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეა. კრასნოიარსკში გამართულ სსრ კავშირის პირველობაზე მან ყველა მეტოქე დასჯაბნა და ოქროს მედლით დაამშვენა მკერდი.

●

ლოზანაში გამართულ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე თავი ისახელა **ჯიბილო ნიჟარაძემ** — მძიმე წონის ფალავანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

გიორგი ახვლედიანი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ენათმეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანი.

გიორგი ახვლედიანი იყო დიდი მკვლევარი, დიდი მოღვაწე და ფართო საზოგადოებრივი მიზანსწრაფვით დაჯილდოებული ადამიანი. მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში და თავისი მეცნიერული ავტორიტეტით იმთავითვე სახელს უქმნიდა ახლადდაარსებულ უმაღლეს სასწავლებელს. ამ დროიდან მოყოლებული გიორგი ახვლედიანი საქართველოში მეცნიერული მუშაობის ორგანიზაციისა და კულტურული მშენებლობის ერთ-ერთი მეთაურია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან გიორგი ახვლედიანი ჩადგა მოწინავე მეცნიერთა რიგებში და მთელი თავისი ღრმაშინაარსიანი სიცოცხლე მოახმარა ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას და ახალი ფორმაციის მეცნიერული აზროვნების განვითარებას.

გიორგი ახვლედიანი დაიბადა 1887 წლის 13 აპრილს ს. დერჩში (ლეჩხუმი). თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე (1910 წ.). გიორგი ახვლედიანმა ხარკოვის უნივერსიტეტში ღრმა განათლება მიიღო ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში, კლასიკურ ფილოლოგიაში, სლავისტიკაში, შეისწავლა ძველი ინდური, ძველი სპარსული, სლავური ენები. 1915 წელს გიორგი ახვლედიანს ხარკოვის უნივერსიტეტში ტოვებენ სპროფესოროდ მოსამზადებლად და გზავნიან პეტერბურგის უნივერსიტეტში.

1918 წელს გიორგი ახვლედიანი დაბრუნდა საქართველოში და შეუერთდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორებს, რომლებსაც მეთაურობდა ივ. ჯავახიშვილი. იგი შეივიდა უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში და აირჩიეს ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგედ.

გიორგი ახვლედიანი ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელია და მისი საუკეთესო ტრადიციების დამნერგავი. მან სათავე დაუდო ჩვენში ზოგადი ენათმეცნიერების დარგში კადრების აღზრდას და ამ სფეროში მთელი თაობების მეცნიერულ წრთობას.


1923 წელს გიორგი ახვლედიანის ინიციატივით დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, რომლის უცვლელი თავმჯდომარე თვითონ იყო მისი არსებობის მთელ მანძილზე.

1924-1933 წ. წ. გ. ახვლედიანი ხელმძღვანელობდა პროფკავშირული ბაზით საქართველოს მეცნიერმუშაკთა სექციას. ამ სარბიელზე მან ბევრი რამ გააკეთა ქართველი ინტელიგენციის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩასაბმელად.

გიორგი ახვლედიანი 1932 წლიდან ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრია და 1940 წლიდან — ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრი.

1939 წელს გიორგი ახვლედიანს ირჩევენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში უმაღლესი განათლების ქსელის გაფართოებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი თბილისისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსებასა და განვითარებაში.

გიორგი ახვლედიანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთაგანია, სადაც სხვადასხვა დროს იყო აკადემიკოს-მდივანი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი და სხვ.



1942 წლიდან გიორგი ახვლედიანი სკკპ წევრია.

ზოგადლინგვისტური ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“. ეს იყო საერთოდ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. მასვე ეკუთვნის ძველი ინდური ენის (სანსკრიტის) სახელმძღვანელო.

მეტად დიდია გიორგი ახვლედიანის დამსახურება რუსული ენის შესწავლის საპატიო საქმეში. მან მკვიდრ ნიადაგზე დააფუძნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის კათედრების მუშაობა, მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწერა რუსულ ენათმეცნიერებაში მრავალი დისერტაცია და ცალკეული გამოკვლევა. გიორგი ახვლედიანის, როგორც ქართული რუსისტიკის ფუძემდებლის, კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ტიპის რუსული გრამატიკული ნაშრომები და სახელმძღვანელოები, ამასთანავე ლექსიკონები, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენში რუსული ენის ღრმად შესწავლას.

განსაკუთრებულია გიორგი ახვლედიანის ლვაწლი ფონეტიკის დარგში. მისი ფუნდამენტური წიგნი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად არის მიჩნეული. ფართოდ არის აგრეთვე ცნობილი გიორგი ახვლედიანის ნაშრომები ირანული ენების შესწავლის დარგში.

დიდი ამაგი დასდო მან ოსური ენის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, რაც შეჯამდა წიგნში „რჩეული ნაშრომები ოსური ენის შესახებ“ (1960 წ.). აღსანიშნავია, რომ გიორგი ახვლედიანის მთავარი რედაქტორობით გამოვიდა ოსური ენის აკადემიური გრამატიკა ქ. ორჯონიკიძეში 1963 წელს. ოსურ ფილოლოგიაში კადრების აღზრდისათვის ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობამ მას მიანიჭა ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გიორგი ახვლედიანმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ლოგოპედიის, როგორც ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების დარგის, განვითარებას. მისი ხელმძღვანელობით ლოგოპედთა ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია სამამულო ომის დროს საევაკუაციო ჰოსპიტლებში მოთავსებული კონტუზებული და მეტყველებამოშლილი ჯარისკაცების განსაკურნავად.

გიორგი ახვლედიანის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა მეცნიერების სხვადასხვა დარგის ქართული ტერმინოლოგიის საჭირბოროტო საკითხები. მისი პროექტების მიხედვით თუ უშუალო მონაწილეობით არა ერთი და ორი ნორმა დაკანონებულია და მიღებული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ.

გიორგი ახვლედიანის მრავალრიცხოვანი მოწაფეები დღეს ამშვენებენ საბჭოთა კავშირის მრავალ სამეცნიერო ცენტრში საკვლევძიებო დაწესებულებებს თუ უმაღლეს სასწავლებლებს.

გიორგი ახვლედიანს ჩვენი ხალხი იცნობდა როგორც ბევრი კულტურული წამოწყების მოთავეს. იგი იყო რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ენისა და ლიტერატურის სექციის უცვლელი თავმჯდომარე. ბულგარეთ-საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, სალიტერატურო ქართულის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი და სხვ.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს გიორგი ახვლედიანის ღვაწლი.


გიორგი ახვლედიანი როგორც მოწინავე მეცნიერი, დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

გიორგი ახვლედიანი იყო მომხიბლავი ადამიანი, დიდი ჰუმანისტი, გულისხმიერი, არაჩვეულებრივი პიროვნული ტაქტით შემკული მოჭალაქე, რომელიც ყველას რწმენას და სათნოებას უნერგავდა, ოპტიმიზმით აღაგზნებდა და მომავლის იმედიანობას უღვივებდა ადამიანებს.

გიორგი ახვლედიანის სახელს მუდამ პატივისცემით და სიყვარულით მოიგონებს მადლიერი ქართველი ხალხი.

გ. გიგინეიშვილი, პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, პ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, ო. ჩერქეზია, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ი. აბაშიძე, ზ. ახვლედიანი, ე. სეხნიაშვილი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, დ. ჩხეიძიშვილი, გ. წერეთელი, თ. ჯანელიძე, გ. ჯიბლაძე.

საღაც ვმოგზაურობთ...



— აფრანგეთის ქართველი! — და იქვე დააყოლა, — ზედგინიძე, ზედგინიძე კი არა, ზედგინიძე. ზედგინიძეებიც არიან და ზედგინიძეებიც, მე ზედგინიძე ვარ, თუდო ზედგინიძე საფრანგეთიდან. — განმარტა საშუალო ტანის, ხმელ-ხმელმა ჭაღარაოსანმა, სამოცდაათს მიტანებულმა, თუმცა უტეხმა კაცმა, ოთახში სხარტად რომ შემოვიდა, ხელი ჩამომართვა და ისევე დანდობილად დაჯდა სკამზე, როგორც შემოვიდა.

„მღელვარების დაფარვის წამალი სითამამეა და გასაცნობად წინასწარ მოფიქრებული სიტყვის დროული თქმა. ეს კი, ალბათ, ყველა ახალი შეხვედრით, ახალი კაცით ღელავს ისევე, როგორც ყველა. ეს ალბათ უფრო. გასაგებია“. გავიფიქრე და მოსაუბრის ნებას დავყევი. მოსაუბრეც ერთხანს იყუჩა, თუმც შინაგანი მღელვარება მაინც ეტყობოდა ხელებს, თვალებს... ერთიანად მოუსვენრობდა.

— სად ცხოვრობთ?

— სოშოში... პარიზიდან ხუთასი კილომეტრია, ქალაქია — ეხლა გადაკეთდა...

— აქ სად ცხოვრობთ?

— ივერიაში, ჰოტელ ივერიაში, თქვენს ახლოს, ოცდაერთსართულიან ჰოტელში.

— ოცდაორიანი. როგორ მოეწყეთ?

— კარგად, ძალიან კარგად.

— პიჯაკს ხომ არ გაიხდიდით — ცხელა, თან უფრო ხალვათადაც იგრძნობთ თავს, შინაურულად.

გაიხადა, სკამზე გადაკიდა და ისევ დაჯდა. „ყოველივეს სწრაფად იქმს. აჩქარებული კაცია, ფიცხი“.

— თქვენ ალბათ ჩემი ამბავი გაინტერესებთ? — პასუხს არ დაელოდა, — წარმოშობით ახალციხელი ვარ.

— ახალციხე დიდია, შიგ ახალციხიდან ბრძანდებით?

— არა. ძველელი ვარ.

— ეგ დღეს ასპინძის რაიონია.

— გუშინ იქიდან ჩამოვედი, ძველში ვიყავი. მთელი ნათესაობა დამხვდა. პირველად პური და მარილი დამიდეს. პური გავტეხე და მარილში ჩავაწვე. ყოჩაღ, თქვი, ძველური წესი არ დაგვიწყნიაო. მერე ყველა გადამეხვია, დამკოცნეს და ამატირეს. — თქვი ხმა აიფარა თვალებზე ხელები, მაგრამ მაშინვე დაუშვა და განაგრძო. — სოფელი ძალიან გამდიდრებულა. ცოდით, თუ ის კოლმეურნეობა ისე გააახლებდა ჩვენს ძველს. საღამოს რვაზე გავედით თერთმეტნი და დილის ოთხზე თათალეთში ვიყავით. როგორც კი გადავედით, თერთმეტივე მიწას დავემხენით და ავტირდით, კაცურად ავტირდით.

— ვინ დაგრჩათ აქ?

— ყველანი. მამა. ცოლი და გოგო-ბიჭი. მამა და ბიჭი გარდაცვლილან. გოგო ოთხი შვილის დედაა, ჩემი ხალხია. კინაღამ ვეღარ ვიცანი სოფელი. საგანგებოდ მანქანა მომამგრეს იქაურმა უფროსებმა. მთელი სოფელი მკოცნიდა — ქალები, კაცები, ქართველები, სომხები... სადაც მერიდებოდა კიდეც... მთელი ის მიდამო ავი თვალით არ ინახვის... ჰაი, დედასა!

— როდის წახვედით და რისთვის?

— დაუფიქრებლობით გავექეცით კოლმეურნეობას ოცდაათში, რა ვიცოდით, რომ ამ ოცდაათ წელიწადში გონს ვერ მოვედი, მერე შევირთე ჩემი ფრანგი ცოლი, კარგი ქალია. ორი ქალიშვილი მყავს იმასთან— ერთი იუგოსლაველმა წაიყვანა, მეორე კანადაშია გათხოვილი. ქართული?... არ იციან... ოღონდ მინდა ჩამოვიყვანო და მამის ქვეყანა ვაჩვენო.

— ჩვენს გაზეთს თუ კითხულობთ?

— ვკითხულობ... მაგრამ ერთხანს... ვიღაცამ უკან დააბრუნა. ვიცი, ვინც გააკეთა, მაგრამ ნუ მკითხავთ... იმას მე გავეც პასუხი.

— ნება თქვენია.

— ვინ ეკითხებოდა. ვინ იცის, იქნებ ისიც მიხვდეს, რომ ეს გაზეთი მალამოსავით სამკურნალოა სამშობლოს მოწყურვილთათვის, ბილიკია, რომლითაც საქართველოს ვეკავშირდებით. თქვენ მაპოვნინეთ ძმები, შვილი და შვილიშვილები...

— ვისი შეხვედრა გეამათ საქართველოში ჩამოსულს?

— ყველასი — ძმების, შვილის, სიძის, შვილიშვილების, ნათესავების... ჩემ ყოფილ ცოლთან შეხვედრამ მომიკლა გული... გაშახსენდა, პატარა ბავშვებით რომ მივატოვე. დღესაც მარტოა, დაქვრივებული. ხაშურიდან ჩამოვიდა თავისი ვაჟიშვილით. ერთად ვიტირეთ...

— თქვენს შეუდრეკ ხომ არ ეწყინება...

— არა, ის კარგი ქალია, ყველაფერს გამიგებს. ღამე ვწვალობ ძალიან, დღისით ამ კეკლუც ქალაქს ვათვალიერებ, თქვენი საზოგადოება ყურადღებას არ მაკლებს, ღამე კი, მარტო რომ ვრჩები, მაშინ მეტირება...

— საფრანგეთში რას აკეთებთ?

— თურქეთიდან კონტრაქტით წამიყვანეს „პეჟოს“ საავტომობილო ქარხანაში. სოშოში დავსახლდი და მას აქეთ იქა ვარ. პენსია მაქვს. ვართ მე და ჩემი ცოლი და... ვართ. ქართველი კაცი უცხო მხარეში როგორც უნდა გამდიდრდეს, მაინც უბედურია. სახლიც მაქვს, კარიც მაქვს, მაგრამ... საქართველო, სანეტარო საქართველო იყო, არის და იქნება... მით უფრო დღეს! ვისაც დღევანდელი საქართველო არ უნახავს, მან საქართველო არ იცის. მაღლობა თქვენ, რომ საქართველოსთან კავშირს არ გვაწყვეტინებთ.

— თქვენ ბრძანეთ, რომ საზღვრის გადასვლისთანავე ბევრი ქართველი შეგხვდათ. როგორ იხასიათებენ ქართულ ენას იქაური ქართველები?

— მამის დედა ოთხ წლ[illegible] ბავშვს გარეთ არ უშვებს, რომ [illegible]სი ენა არ აღერიოს. სულ ქართ[illegible]ელაპარაკება. მერე კი, თუ ივ[illegible] თვითონაც სწავლობს ანბანს, სალაპარაკო ენა კი თითქმის ყველას აქვს შემონახული, როგორც ქართველობის უპირველესი ნიშანი.

— რას უსურვებდით თქვენულ თანამემამულეებს?

— ჯერ ერთი, მადლობა მინდა ვუთხრა თქვენს საზოგადოებას, რომელმაც ჩემი ლამაზი და ბედნიერი სამშობლო ხელმეორედ მაპოვნინა. მერე იმათ, ვინც ჩემს ტკივილს მალამო დაადო, ვინც მიმიღო ადამიანად, ძველის გაუხსენებლად, უსაყვედუროდ, ვინც მამის საფლავი მაჩვენა, ქალიშვილი მაპოვნინა, შვილიშვილები მაჩუქა, ვინც ჩემი ნეტარი და ბედნიერი სამშობლოს სითბო მაგრძნობინა.

ჩვენებურებს კი იმას ვუსურვებდი, რომ თქვენი „სამშობლო“ ეკითხოთ, ნეტარ საქართველოსთან კავშირი აღედგინოთ, ყველა ღონე ეხმაროთ, რომ თქვენი საქართველო, დღევანდელი საქართველო ენახოთ, თბილისი, გორი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, თავიანთი ბავშვობისდროინდელი მიდამოები დაეკლოთ, მერე გულზე ხელი დაედოთ და ძველისთვის შეედარებინოთ. დანარჩენი იმათ სინდისზე იყოს!

ერთში კი... ღამეა, ღამე ძნელი... მარტო დარჩენაა ძნელი. მაგრამ, რას იზამ, ოავს ზევით ძალა არ არის— რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

და თედომ კვლავ მოისვა სახეზე ორივე ხელი.

რედაქტორი გივი ქარგელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.